ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 220

« 27 » ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა (ს/კ 205296375) და ფიზიკურ პირ რამაზ კვერნაძეს (პ/ნ 01025014596) შორის 2015 წლის 4 მაისს გაფორმებული N9-266-47-12867 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ფიზიკური პირის რამაზ კვერნაძის (პ/ნ 01025014596) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" №19-78 დადგენილების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა (ს/კ 205296375) და ფიზიკურ პირ რამაზ კვერნაძეს (პ/ნ 01025014596) შორის 2015 წლის 4 მაისის გაფორმებული N9-266-47-12867 ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისა და შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირი რამაზ კვერნაძის (პ/ნ 01025014596) გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 24 მაისის N18.14.356 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა (ს/კ 205296375) და ფიზიკურ პირ რამაზ კვერნაძეს (პ/ნ 01025014596) შორის 2015 წლის 4 მაისს გაფორმებული N9-266-47-12867 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 და 2.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის შესაბამისად 463.34 (ოთხას სამოცდასამი ლარი და ოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის ოდენობით დაკისრებული და დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ფიზიკური პირის რამაზ კვერნაძის (პ/ნ 01025014596) გათავისუფლების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიხეგაშვილი